ბგერებად დაჭრილი ბარათები

მოსწავლეებმა უნდა გაამთლიანონ მასწავლებლის მიერ ნაკარნახევი, ბგერებად დაშლილი სიტყვა და გამოიცნონ, რა სიტყვა ჩაიფიქრა მასწავლებელმა.

მოსწავლეები ცდილობენ გამოიცნონ სიტყვის შემადგენელი ბგერები ზოლებად დანაწევრებული სურათის მიხედვით, რომლის თითოეული ზოლი თითო ბგერას შეესაბამება.

კლასი: I
მუშაობის ფორმა: მთელი კლასი
რესურსი: ვერტიკალური ხაზებით დაყოფილი სურათიანი ბარათები

მსვლელობა

- მასწავლებელი უჩვენებს ბავშვებს სურათს რაიმე გამოსახულებით (მაგ., სოკო) და ხმამაღლა დაუშლის ამ სიტყვას ბგერებად („ს-ო-კ-ო“).
- შემდეგ აჩვენებს ბარათს სხვა გამოსახულებით და ახლა უკვე მათთან ერთად დაშლის ამ სიტყვას ბგერებად (მაგ., „ხ-ე-ლ-ი“).
- შემდეგ აჩვენებს სურათიან ბარათს, რომელზეც გამოსახულება იმდენ ნაწილად არის დაჭრილი ვერტიკალურ ზოლებად, რამდენი ბგერისგანაც შედგება ეს სიტყვა (ბარათის თითოეული ზოლი სიტყვის თითო ბგერას შეესაბამება).
- მასწავლებელი განუმარტავს ბავშვებს, რომ ნახატი იმდენ ნაწილად არის დაყოფილი, რამდენი ბგერაცაა სიტყვაში და რომ ეს დაეხმარება ბგერებად სწორად დაშლაში. თავადაც აკეთებს მოდელირებას ერთ ნიმუშზე (შეიძლება „ბგერებზე“ თითის დადებაც).
- შემდეგ უკვე ბავშვები ამოიცნობენ მასწავლებლის მიერ მინიშნებულ ცალკეულ ბგერებს ან ბგერა-ბგერა წარმოთქვამენ ამა თუ იმ სურათზე გამოსახულ სიტყვებს.
- მასწავლებელი თანდათანობით გაართულებს სიტყვებს (გაზრდის მარცვლებისა და ბგერების რაოდენობას).

ვარიაცია

მასწავლებელი აკეცავს ბარათის ამა თუ იმ ზოლს და ჰკითხავს ბავშვებს, თუ რომელი ბგერაა „აკეცილი“, რომელი - დარჩენილი.

შენიშვნა: შესაძლებელია ამავე აქტივობის ჩატარება მარცვლებად დაშლილ სიტყვებზე სავარჯიშოდაც.